აპრილი, მაისი, ივნისი

#2

2017

სიახლეები, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში საქართველო

ჩართულობა, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე

პარტნიორული ურთიერთობები

მედია ჩვენზე

საინფორმაციო ბიულეტინი

სიახლეები



ასოციაცია "ჰერა XXI" ტრადიციულად შეუერთდა კამპანიას "მე გადავწყვიტე"/I DECIDE

მომავალ მშობელთა ფედერაციამ (IPPF) 2013 წელს შეიმუშავა "ახალი საერთაშორისო განვითარების ხედვა 2020"(VISION 2020), რომელიც მოიცავს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის 10 ძირითად მიზანს.

"ახალი საერთაშორისო განვითარების ხედვა 2020"-ის არსის და იდეების გასაცნობად სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლების და მმართველი ორგანოების წარმომდგენელთათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. მათ შორის 2013 წელს შემუშავდა პეტიცია "მე გადავწყვიტე" "i DECIDE #IDECIDE რომელიც მიზნად ისახავს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მნიშვნელობის და საჭიროების წინ წამოწევას. აღნიშნული აქტივობა ხელს შეუწყობს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში არსებული საკითხების პოპულარიზაციას, 2017 წელს "მე გადავწყვიტე" "i DECIDE #IDECIDE მსოფლიოს კონტრაცეფციის საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობისკენ მოუწოდებს. ბარიერები, რომელიც ქალებს ექმნებათ კონტრაცეფციასა და ოჯახის დაგეგმვის სხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, მათი არჩევანის თავისუფლების შეზღუდვაა, რის შედეგადაც ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი სხეულის სრულ კონტროლს.

წლევანდელ კამპანიას ტრადიციულად ასოციაცია "ჰერა XXI" შეუერთდა. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. ბლოგერმა გურამ შეროზიამ დაწერა როგორც ასოციაციის ისე თავის ბლოგზე ოჯახის დაგეგმვის მნიშვნელობაზე, აღნიშნული დღის ფარგლებში ასოციაციის პროგრამის კოორდინატორი და ექიმი რეპროდუქტოლოგი მიიწვიეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, გადაცემაში "ჯაცების დრო", რომელთაც ისაუბრეს ოჯახის დაგეგმვის მნიშვნელობასა და ასოციაციის სოციალურ როლზე.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა

ასოციაცია ჰერა XXI-მ 20 17 წლის აპრილი-ივნისის ჩათვლით მშობლების გამოკითხვა ჩაატარა

გამოკითხვა შეეხებოდა სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე მათი შვილების ინფორმირებულობას და მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 200-მდე მშობელმა.

გამოკითვის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე სანდო და კვალიფიციური ინფორმაციის წაყროების დეფიციტია,

მშობლების უმეტესობა მნიშვნელოვნად თვლის, რომ ესაუბროს შვილებს აღნიშნულ საკითხებზე მაგრამ, მათ სჭირდებათ სანდო წყარო საიდანაც მიიღებენ კვალიფიციურ ინფორმაციას რათა შეძლონ სწორი კომუნიკაცია შვილებთან.

სასურველ რესურსად კი ინტერნეტს, ონლაინ პლატფორმებს ასახელებენ.

არაერთმა კვლევამ აჩვენა რომ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: ადრეული ქორწინება, ნაადრევი ორსულობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და. ა.შ

კონკურსები

12 აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეა

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ასოციაცია ჰერა XXI-მ გამოაცხადა ახალგაზრდული იდეების კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა ჰქონდათ იმ ახალგაზრდებს და საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც აღნიშნული დღის ფარგლებში განახორციელებდნენ შემდეგ აქტივობებს: საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, პრომო აქცია, გამოფენა და სხვა ახალგაზრდული აქტივობები.

შეირჩა ყველაზე რელევანტური საკონკურსო განაცხადები, შერჩეული საკონკურსო განაცხადების ავტორები 12 აგვისტოს მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს განახორციელებენ დედაქალაქსა და რეგიონებში.

UNITED NATIONS INTERNATIONAL YOUTH DAY

2017 YOUTH BUILDING PEACE

#YouthDay #Youth4Peace

საინფორმაციო საგანმანათლებლო სესიები

10 მაისს ასოციაცია "ჰერა XXI-მ გამართა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა მედიაციის სახლში პროექტ "გოგონათა კლუბი"-ს მონაწილეებთან. საგანმანათლებლო შეხვედრისას ასოციაცია "ჰერა XXI"-მ გოგონათა აუდიტორიას გააცნო ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, ისაუბრა მოხალისეობის მნიშვნელობაზე, ქართული ახალგაზრდების საჭიროებებსა და ასოციაციაში მოქმედ სერვისებზე.

ასოციაცია ჰერა XXI-ს ექიმ რეპროდუქტოლოგი ნატო შენგელია 20 გოგონას ესაუბრა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე, რასაც აუდიტორიის მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა. იუსტიციის სამინისტროს სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრის" ბაზაზე არსებულ მედიაციის სახლში "გოგონათა კლუბი" 2015 წლიდან ფუნქციონირებს და აქტიურად თანამშრომლობს ასოციაცია "ჰერა XXI"-თან რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით.

19 აპრილს ჰერა XXI -მ გამართა შეხვედრა მოხალისეებთან, რომლებიც ჩაერთვებიან ორგანიზაციის მიმდინარე პროექტებში.

ღონისძიება გაიხსნა ორგანიზაციის წარდგენით და გაიმართა პრეზენტაციები მოხალისეობის მნიშვნელობაზე, ქართველი ახალგაზრდების საჭიროებებზე, ასოციაციის მიერ ჩატარებულ კვლევებზე, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე.

ღონისძიების ბოლოს გაიმართა დისკუსია სადაც ორივე მხარემ ისაუბრა საკუთარ მოლოდინებზე და სამომავლო პერსპექტივებზე. ასევე მოეწყო მოხალისეობის თემაზე ასოციაცია ჰერა XXI მიერ გადაღებული ვიდეოკლიპის ჩვენება. *(ბმული: https://www.youtube.com/watch?v=VaiMH68lgyc)*

ასოციაცია "ჰერა XXI"-ეს მიზანია განავითაროს და ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მოხალისეების ჩართვას მის საქმიანობაში, როგორც რეგიონალურ ისე საერთაშორისო დონეზე.

ინდივიდუალური მიდგომა თითოეული ახალგაზრდის მიმართ ხელს უწყობს მათ პიროვნულ და პროფესიულ ზრდას.

ასოციაცია ჰერა XXI-ს გუნდს 13 ახალი თანასწორ-განმანათლებელი შეუერთდა

.20, 21 მაისს თბილისში თანასწორ-განმანათლებელთა ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგი იმ 13 -მა შერჩეულმა ახალგაზრდამ გაიარა, ვინც მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას სხვა ახალგაზრდებს გაუზიარებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიების მეშვეობით. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ის საკითხებია, რაზეც მონაწილეებმა ტრენინგზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს, ტრენინგი თეორიული და პრაქტიკული ნაწილისაგან შედგებოდა: განიხილეს შემთხვევები როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების მაგალითზე, ითამაშეს როლური თამაშები საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების დასამსხვრევად და დასახეს ის სამოქმედო გეგმა, რის მიხედვითაც სხვებს გაუზიარებენ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებმა თანასწორ განმანათლებელთა სერთიფიკატები მიიღეს.

ჰერა XXI-ს თანსწორ-განმანათლებლებს 24 ივნისს ჩაუტარდათ ტრენინგი "სწავლების მეთოდოლოგია"

ტრენინგის მიზანი იყო ასოციაციის თანსწორ-განმანათლებელების ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე როგორიცაა: სწავლების ძირითადი პრინციპები, სწავლების სტილის იდენტიფიცირება, სხვადასხვა ტრენინგ მეთოდები, მონაწილეთათვის დავალებების მომზადება, დღის წესრიგის მომზადება, ტრენინგის შეფასება და შედეგის გაზომვა.

თანსწორ-განმანათლებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეღმავებინათ ცოდნა ახალგაზრდების სწავლების პრინციპების პრაქტიკული მხარეების შესახებ და გაეძლიერებინათ მათი შესაძლებლობები ახალგაზრდებისათვის ტრენინგის ჩატარების კუთხით.

მოხალისეობის ყოველწლიური გამოფენა

27 აპრილს, ასოციაცია "ჰერა XXI"-მ მონაწილეობა მიიღო მოხალისეობის ყველწლიურ გამოფენაში, რომელიც გაიმართა "ჰელფინგ ჰენდ"-სა და "მშვიდობის კორპუსის" ორგანიზებით. ღონისძიება მიზნად ისახავდა მოხალისეებისა და ორგანიზაციების ერთამანეთთან დაკავშირებას და ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

ღონისძიება დაიწყო "ჰერა XXI"-ს პრეზენტაციით, დაინტერესებულ პირებს მიაწოდა ინფორმაცია მოხალისეობის მნიშვნელობაზე, ქართველი ახალგაზრდების საჭიროებებზე, ასოციაციის მიერ ჩატარებულ კვლევებზე, სქესობრივ და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, ასოციაციაში მოქმედ სერვისებსა და მოხალისეთა ჩართულობის კუთხით დაგეგმილ აქტივობებზე.

წლის შემაჯამებელი დასაქმების ფორუმი

ასოციაცია ჰერა XXI-ს წარმომადგენლებმა და მოახალისეებმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ წლის შემაჯამებელ დასაქმების ფორუმზე სხვადასხვა საფეხურისა და მიმართულების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ორგანიზაციის საქმიანობა გააცნეს.

სტუდენტების აქტივობა "ჰერა XXI"-ს სტენდთან შესამჩნევად მაღალი იყო, როგორც გოგონების ასევე ბიჭების მხრიდან. პრეზენტაციისათვის გამოყოფილ საგანგებო სივრცეში თავი მოიყარეს იმ ახალგაზრდებმა, ვისაც სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები აინტერესებთ და სურთ მონაწილეობის მიღება ორგანიზაციის მოხალისეობრივ აქტივობებში.

ასოციაცია ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ ცოდნა და გამოცდილება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ და შემდგომ თავადაც გახდნენ თანსწორ-განმანათლებლები.

2017 წლის 15-16 მაისს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სრულფასოვანი სქესობრივი განათლების შესახებ

კონფერენცია ბერლინში სექსუალური განათლების საკითხებზე

კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო სქესობრივი განათლების, როგორც ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილის, მნიშვნელობის წარმოჩენა მის შესახებ ინფორმირებულობის ზრდა, რაც ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანსაღი განვითარების მნიშნელოვანი ელემენტია. კონფერენციის ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ევროპულ რეგიონში არსებული მდგომარეობა, კერძოდ სქესობრივი განათლების სწავლების დონე, დანერგვისა და გაუმჯობესების მხრივ არსებული ტენდენციები და გამოწვევები და ის სამომავლო ნაბიჯები, რაც არსებული რეალობის შესაცვლელადაა საჭირო. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს უახლესი სამეცნიერო კვლევები და თავიანთი ქვეყნის კონტექსტი. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 150 ექსპერტი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში; ჯანდაცვის, ახალგაზრდული საკითხებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ევროპის ქვეყნებიდან; საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ: WHO, UNFPA, UNESCO, GIZ დ ა.შ) საქართველოდან კონფერენციას ესწრებოდა ასოციაცია ჰერა XXI-ს დირექტორი, ნინო წულეისკირი.

პარტნიორული ურთიერთობები

CISU- საქართველოში პარტნიორული ვიზიტის ფარგლებში ასოციაცია ჰერა XXI -ს ეწვია

CISU- Civil Society in Development დანიური ორგანიზაცია, ასოციაციის პრეზიდენტსა და თანამშრომლებს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობები და მოხდა სამუშაო მიმართულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

პარტნიორული შეხვედრა დანიაში

ასოციაციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ პარტნიორული ვიზიტით დანიაში, სადაც პარტნიორებს შორის ჰერა XXI, WHFP-(Woman Health and Family Planning) და DFPA-(Danish Family Planning Association) სამუშაო შეხვედრები შედგა. ვიზიტის მიზანი იყო ურთიერთობების გაღრმავება, მუშაობის გამოცდილების გაზიარება ყოვლისმოცველ სქესობრივ განთლeბის მიმართულებით და, საეთო სურათის შექმნა.

თითოეული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ერთობლივად განიხილეს პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე პროექტის იმპლემენტაციის პროცესი, ასევე დაიგეგმა სამომავლო ვიზიტი, რომელიც შემოდგომაზე თბილისში შედგება.

გადაცემა ალტერნატიული აზრი განახლებული ფორმატით

გადაცემა ალტერნატიული აზრი ივნისიდან განახლებული ფორმატით მაუწყებლობს და ტრადიციულად მოგაწვდით ინფორმაციას თქვენი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ.

გადაცემას შეგიძლიათ უყუროთ ტელეკომპანია **აფხაზეთის ხმის ეთერში** ყოველ შაბათს 18:00-ზე.

კამპანია "მე გადავწყვიტე"-ს ფარგლებში ასოციაცია ჰერა XXI-ს საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიიწვიეს გადაცემაში -"კაცების დრო"

საზოგადოებრივ მაუწყებელზე, გადაცემაში [კაცების დრო/Katsebis Dro](#) **ასოციაცია „ჰერა XXI"-**ს პროგრამის კოორდინატორი მაგდა კოსტავა და ექიმი რეპროდუქტოლოგი მაია პარკაული [Maia Parkauli](#) საუბრობენ ოჯახის დაგეგმვის თემაზე

გადაცემის სანახავად მიყევით ბმულს:

https://www.youtube.com/watch?v=

Sfq-eEIfkw4&feature=youtu.be

აპრილი, მაისი, ივნისი

2

2017

საინფორმაციო ბიულეტინი

მომზადებულია ასოციაციის ჰერა XXI-ს მიერ

დაგვიმეგობრდით, სოციალურ ქსელ FACEBOOK-ზე :
http://www.facebook.com/AssociationHERA

ან ეწვიეთ ვებ.გვერდს
www.hera-youth.ge

ჰერა HERA XXI
ჯანმრთელობა განათლება უფლებები ალტერნატივა
HEALTH EDUCATION RIGHTS ALTERNATIVE